Joining forces for 20 years
HUMAN RIGHTS HOUSE NETWORK

ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ინგოროყვას ქ. 7, თბილისი 0114, საქართველო[1]

ბ-ნ გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს პრეზიდენტი
აბდუშელიშვილის ქ. 1, თბილისი, საქართველო[2]

ბ-ნ დავით უსუფაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე
აბაშიძის ქ. 26 ქუთაისი 4600 საქართველო
ელ.ფოსტა:DUsupashvili@parliament.ge

საქართველოში პოლიტიკურმა ლიდერებმა უნდა შეწყვიტონ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები

ბ-ნო პრემიერ-მინისტრო,
ბ-ნო პრეზიდენტო,
ბ-ნო პარლამენტის თავჯდომარე,

ჩვენ, ადამიანის უფლებათა სახლის ქსელისა და უფლებადამცელთა სამხრეთ კავკასიური ქსელის წევრი ორგანიზაციები, მოგიწოდებთ საქარათველოს პოლიტიკურ ლიდერებს, შეწყვიტოთ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ცილისმწამებლური განცხადებები, რომლებიც შეიცავენ დაუსაბუთებელ ბრალდებებსა და მინიშნებებს, თითქოს მათი საქმიანობა საფრთხეს უქმნის ქვეყანას. 2013 წლის ოქტომბრის შემდეგ, საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ლიდერების მხრიდან უფლებადამცველი ორგანიზაციების მიმართ სიტყვიერი თავდასხმები გახშირდა. არსებული სიტუაცია ემსგავსება სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.

2013 წლის ოქტომბერში, საქართველოს ვიცე პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ გააკრიტიკა ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას და თავისი უკმაყოფილება დამამცირებელი ტერმინებით გამოხატა.[3] 2014 წლის მაისში, თქვენ, ბ-ნო პრემიერ მინისტრო, მკაცრად გააკრიტიკეთ კამპანიაში „ეს შენ გეხება“ მონაწილე

[1] აღნიშნული წერილი ასევე გაიგზავნა პრემიერ-მინისტრის ონლაინ ფორმით: http://government.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=378.
[2] აღნიშნული წერილი ასევე გაიგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ონლაინ ფორმით: https://www.president.gov.ge/en/SendLetterToThePresident
[3] ვიცე-პრემიერის განცხადება; 2013 წლის 20 ოქტომბერი: http://www.myvideo.ge/?video_id=2160865.

არასამთავრობო ორგანიზაციები,[4] და განაცხადეთ, რომ ისინი „ძირს უთხრიან“ ქვეყნას და „ლახავენ მის საერთაშორისო იმიჯს.“ [5] მსგავსი ტერმინებით არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო დებატებში მონაწილეობა და უთანხმოების შეფასება კი არ ხდება, არამედ ეს მათი საქმიანობის დელიგიტიმიზაციას ემსახურება. უფრო მეტიც, პრემიერ მინისტრის აღნიშნული განცხადება ახალისებს სხვა პოლიტიკოსებს კრიტიკული განცხადებები გააკეთონ სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ და იმოქმედონ მათ წინააღმდეგ.

2015 წლის იანვარში, ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ სამი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და სამართლიანი არჩევნების, ლიდერების საქმიანობა „შესასწავლია“;[6] ამას გარდა მისი განცხადებით აღნიშნული ორგანიზაციების ლიდერები ეწევიან უსინდისო ან არალეგიტიმურ საქმიანობას; ან კიდევ უარესი - უკანონო საქმიანობას. ბიძინა ივანიშვილი ამჟამად ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას „მოქალაქე“ და ინარჩუნებს გავლენას ხელისუფლებაზე.

2015 წლის 17 მარტს, „ქართული ოცნებიდან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი თოფაძემ მოითხოვა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების დახურვა და მოუწოდა ხელისუფლებას მიბაძონ იმ ქვეყნებს სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები არ არსებობენ რადგან ისინი „ხელს უშლიან“ სახელმწიფოს ფუნქციონირებას.[7]

და ბოლოს, 2015 წლის 31 მარტს, პარლამენტის წევრმა ზვიად ძიძიგურმა, რომელიც ასევე მმართველ პარტიას წარმოადგენს, განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია ფარულად უსმენენ მმართველი პარტიის წევრებს. მისი განცხადებით, მმართველი პარტიის წევრები ხშირად ვარდებიან ისეთ სიტუაციაში, როცა შიდა პარტიული შეხვედრების დროს გამართული დისკუსიების დეტალები ვრცელდება მედიით, რაც პარლამენტარს აფიქრებინებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები იყენებენ ფარული მოსმენის აპარატებს.[8] მსგავსი ბრალდებები არის დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედი ნებისმიერი დამოუკიდებელი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობის მეთოდს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მსგავსი ცილისმწამებლური ბრალდებები ჩრდილს აყენებს მათ სანდოობას და საჯარო დებატებში მათ მნიშვნელოვან როლს.

---

[4] იხ. კამპანიის ვებგვერდი: http://www.esshengexeba.ge.

[5] პრემიერ მინისტრის განცხადება, 1 მაისი2014 წ.: http://www.media.ge/ge/portal/articles/302606/.

[6] ყოფილი პრემიერი განცხადება; 29 იანვარი, 2015 წ. http://www.liberali.ge/ge/liberali/news/123407.

[7] პარლამენტარ გოგი თოფაძის განცხადება; 17 მარტი 2015 წ http://maestro.ge/menu_id/12/id/18938/lang/1 http://17mai.si/2015/03/16/georgia/.

[8] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: http://www.interpressnews.ge/ge/politika/323733-zviad-dzidziguri-etcvobs-rom-saparlamentoumravlesobas- farulad-media-da-arasamthavroboebi-usmenen.html.

OSLO Kirkegata 5, 0153 Oslo, Norway | Tel.: +47 46 84 88 50 | hrh@humanrightshouse.org | Org. no.: 976 055 365 | Account no. IBAN: NO37 1609 0492 458
GENEVA Rue de Varembé 1, PO Box 35 1211 Geneva 20, Switzerland | Tel.: +41 22 33 22 554 | geneva@humanrightshouse.org | Account no. IBAN: CH36 0900 0000 1020 3098 5

www.humanrightshouse.org

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების მხირდან მსგავსი რიტორიკა განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი გახდა სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ და ემსგავსება სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას. აღნიშნული ქმედება წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო საზოგადოების მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2013 წლის 21მარტის 22/6 რეზოლუციით აღებულ ვალდებულებასთან, რითაც აღიარებულია უფლებადამცველების განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებების დაცვაში, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდებაში. აღნიშნულ რეზოლუციას შეუერთდა საქართველოც.

პოლიტიკური ლიდერების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციებზე განმეორებითი ვერბალური თავადასხმები ხელს უშლის მთავრობის გაცხადებულ სურვილს უზრუნველყოს ინკლუზიური და სათანადო საჯარო დებატები.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო სადაც, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2013 წლის 21მარტის 22/6 რეზოლუციის მე-12 პარაგრაფის შესაბამისად, უფლებადამცველები შეძლებენ იმუშაონ შეუფერხებლად და უსაფრთხოდ. მთავრობამ უნდა დაგმოს უფლებადამცველებისა და მათი ორგანიზაციების მიმართ წარმოებული ნებისმიერი ბინძური კამპანია.

ბ-ნო პრეზიდენტო, ბ-ნო პრემიერო და ბ-ნო პარლამენტის თავჯდომარე, მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ წარმოებულ ბინძურ კამპანიებში მონაწილეობისაგან. ჩვენ ასევე მოგიწოდებთ გამოიყენოთ თქვენი სიმბოლური და პოლიტიკური გავლენა უფლებამდამცველებისა და მათი საქმიანობის განსაკუთრებული როლის მხარდასაჭერად, როგორც ეს აღნიშნულია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2013 წლის 21მარტის 22/6 რეზოლუციის მე-18 პარაგრაფში; ასევე ხაზი გაუსვათ მათ განსაკუთრებულ წვლილს საჯარო დებატებში, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა არ ეთანხმებით მათ პოზიციას.

პატივისცემით,

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით):

- **კონსტიტუციის 42-ე მუხლი;**
- **ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის კავკასიის ცენტრი**
- **საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი;**
- **ადამიანის უფლებათა ცენტრი;**
- **მედიის ინსტიტუტი;**
- **კავშირი საფარი - ოჯახი ძალადობის გარეშე.**

აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა სახლი

- **აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა ცენტრი**

OSLO Kirkegata 5, 0153 Oslo, Norway | Tel.: +47 46 84 88 50 | hrh@humanrightshouse.org | Org. no.: 976 055 365 | Account no. IBAN: NO37 1609 0492 458
GENEVA Rue de Varembé 1, PO Box 35 1211 Geneva 20, Switzerland | Tel.: +41 22 33 22 554 | geneva@humanrightshouse.org | Account no. IBAN: CH36 0900 0000 1020 3098 5

www.humanrightshouse.org

- *აზერბაიჯანელი უფლებადამცველების წინააღმდეგ სავარაუდო რეპრესიების რისკის გამო, გადავწყვიტეთ, არ მივუთითოთ იმ აზერბაიჯანული ორგანიზაციების სახელები, რომლებიც ხელს მოაწერდნენ აღნიშნულ მიმართვას.*

ბარის ზვასკაუს სახელობის ბელარუსის ადამიანის უფლებათა სახლი ლტოლვილობაში, ვილნიუსი (წევრი ორგანიზაციების სახელით):

- ბელარუსის ჟურნალისტთა ასოციაცია
- ბელარუსის ჰელსინკის კომიტეტი
- ადამიანის უფლებათა ცენტრი „ვიასნა“ (**“Viasna”**)

ბელგრადის ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით)

- ადვოკატთა კომიტეტი ადამიანის უფლებებისათვის **YUCOM**
- სერბეთის ჰელსინკის კომიტეტი ადამიანის უფლებებისათვის

ჩერნგოვის საგანმანათლებლო ადამიანის უფლებათა სახლი (შემდეგი ორგანიზაციების სახელით)

- ჩერნიგოვის ადამიანის უფლებების დაცვის საჯარო კომიტეტი
- ჰუმანიტარული ტექნოლოგიების ცენტრი “AHALAR”
- საჯარო განათლების ცენტრი „ALMENDA”
- ადამიანის უფლებათა ცენტრი “Postup”
- ადგილობრივი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები M’ART
- ტრანსკარპატული საჯარო ცენტრი
- უკრაინის ჰელსინკის ადამიანის უფლებათა კავშირი

კიევის ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით)

- უკრაინის სამართალდამცველებზე უფლებადამცველ მონიტორთა ასოციაცია
- ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი
- სამოქალაქო თავისუფლებების ცენტრი
- ხარკოვის ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფი
- უკრაინის ჰელსინკის ადამიანის უფლებათა კავშირი

ოსლოს ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით):

- ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების ინფო
- ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი

ვორონეჟის ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით)

- საქველმოქმედო ფონდი
- სამოქალაქო ინიციატივების განვითარების ცენტრი
- თავისუფალი შრომის კონფედერაცია
- ეკოლოგიური და სოციალური სამართლის ცენტრი
- თავისუფალი უნივერსიტეტი
- GOLOS

OSLO Kirkegata 5, 0153 Oslo, Norway | Tel.: +47 46 84 88 50 | hrh@humanrightshouse.org | Org. no.: 976 055 365 | Account no. IBAN: NO37 1609 0492 458
GENEVA Rue de Varembé 1, PO Box 35 1211 Geneva 20, Switzerland | Tel.: +41 22 33 22 554 | geneva@humanrightshouse.org | Account no. IBAN: CH36 0900 0000 1020 3098 5

www.humanrightshouse.org

- განათლებული ადამიანთა ინტერ-რეგიონალური პროფკავშირი
- იურისტები შრომის უფლებებისათვის
- მემორიალი
- ქ-ნი ოლგა გნეზდილოვა
- რუსეთის ჯარისკაცების დედები
- ვორონეჟის ჟურნალისტთა კლუბი
- ვორონეჟი-ჩერნოზემიე
- ახალგაზრდების უფლებადაცვითი მოძრაობა

ერევნის ადამიანის უფლებათა სახლი (შემდეგი ორგანიზაციების სახელით)

- ქალთა დემოკრატიის მხარდაჭერა **Shahkhatun**
- დემოკრატია დღეს
- ჰელსინკის ასოციაცია ადამიანის უფლებებისათვის
- ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა ვანაძორი
- თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა
- ჟურნალისტური კლუბი „ასპარეზი“
- საჯარო ინფორმაცია და ცოდნის საჭიროება (PINK Armenia)
- რეალური მსოფლიო, რეალური ადამიანები
- ქალთა რესურს ცენტრი
- "**Socioscope**" სოციალური კვლევებისა და კონსულტაციის ცენტრი
- „კანონის უზენაესობა“ უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია

ზაგრების ადამიანის უფლებათა სახლი (წევრი ორგანიზაციების სახელით)

- უნარშეზღუდული ადამიანებისათვის თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის ასოციაცია - **APEO/UPIM**
- **B.a.B.e.**
- **CMS** - სამშვიდობო კვლევების ცენტრი
- **Documenta** - წარსულის დოკუმენტების კვლევის ცენტრი
- **GOLJP** - სამოქალაქო კომიტეტი ადამიანის უფლებებისათვის
- **Svitanje** - ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობის ასოციაცია

სახლი - ჰელსინკის ფონდი ადამიანის უფლებებისათვის, ვარშავა;
სამოქალაქო კავშირი, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების რესურს ცენტრი, აზერბაიჯანი;
ვივარტა, გაერთიანებული სამეფო.

ასლები ეგზავნება:

- უჩა ნანუაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველი;
- ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისარი;
- ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ოფისი;
- ევროსაბჭოს დელეგაცია აზერბაიჯანში;

OSLO Kirkegata 5, 0153 Oslo, Norway | Tel.: +47 46 84 88 50 | hrh@humanrightshouse.org | Org. no.: 976 055 365 | Account no. IBAN: NO37 1609 0492 458
GENEVA Rue de Varembé 1, PO Box 35 1211 Geneva 20, Switzerland | Tel.: +41 22 33 22 554 | geneva@humanrightshouse.org | Account no. IBAN: CH36 0900 0000 1020 3098 5

www.humanrightshouse.org

- გაეროს სპეციალური უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ;
- გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების შესახებ;
- ეუთო (OSCE ODIHR);
- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების მოლაპარაკებების კომისარი იოჰანეს ჰანის კაბინეტი;
- ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში;
- ევროპარლამენტის ქვეკომიტეტი ადამიანის უფლებებზე;
- დიპლომატიური საზოგადოება თბილისშ, ბრიუსელში, ჟენევაში, ნიუ იორკში და სტრასბურგში;
- სხვადასხვა საგარეო საქმეთა სამინისტროები და საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტტები.

ადამიანის უფლებათა სახლის ქსელის შესახებ (***www.humanrightshouse.org****)*

ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი (HRHN) აერთიანებს 90 უფლებადაცვით ორგანიზაციას 18 სახლში 13 ქვეყანაში - ბალკანეთის ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპა და სამხრეთ კავკასია, აღმოსავლეთ აფრიკა და დასავლეთ ევროპაში. ქსელის მიზანია დაიცვას, გააძლიეროს და მხარი დაუჭიროს უფლებადაცვით ორგანიზაციებს ადგილობრივად და გააერთიანოს ისინი ადამიანის უფლებების სახლების საერთაშორისო ქსელში.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი ქსელის ნაწილი გახდა 2009 წლის სექტემბერში, ხოლო დაარსდა როგორც ადგილობრივი ორგანიზაცია 2010 წელს. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; კავშირი საფარი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; მედიის ინსტიტუტი; წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT).

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდი (HRHF), რომელიც დაფუძნებულია ოსლოში, ნორვეგია და გააჩნია ოფისი ჟენევაში, შვეიცარია, წარმოადგენს სახელბის ქსელის სამდივნოს. ფონდი ასევე საერთაშორისო პარტნიორია უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიის ქსელის და უფლებადამცველთა ბალკანეთის ქსელის.

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდს გააჩნია კონსულტანტის სტატუსი გაეროში და სახლის ქსელს მონაწილის სტატუსი ევროსაბჭოში.

OSLO Kirkegata 5, 0153 Oslo, Norway | Tel.: +47 46 84 88 50 | hrh@humanrightshouse.org | Org. no.: 976 055 365 | Account no. IBAN: NO37 1609 0492 458
GENEVA Rue de Varembé 1, PO Box 35 1211 Geneva 20, Switzerland | Tel.: +41 22 33 22 554 | geneva@humanrightshouse.org | Account no. IBAN: CH36 0900 0000 1020 3098 5

www.humanrightshouse.org